

**სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი 020361
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

სოფლის მეურნეობის ბიზნესი მიეკუთვნება სამეურნეო საქმიანობის სფეროს და განპირობებულია მის მონაწილეებს შორის ისეთი ურთიერთობებით, რომელთა მიზანია ეკონომიკური სარგებელის მიღება თავისუფალი კონკურენციის პირობებში, რისთვისაც აუცილებელი კომპონენტებია: განვითარების სფეროსა და მიმართულებების მიზანშეწონილი, რაციონალური შერჩევა და იმ ნიშის დაკავება, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის ბიზნესის მატერიალურ მომგებიანობას და შემდგომ წარმატებას.

II. დასაქმების სფერო

სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ სფეროს სპეციფიური სამეწარმეო საქმიანობის ფუნქციონირება, მომგებიანობა და განვითარება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კვალიფიკაციის სპეციალისტი, დღეს მოთხოვნადია და აუცილებელია აგრო ბიზნესის ნებისმიერი სახისა თუ ფორმისათვის, იქნება ეს წვრილი, მცირე, თუ საშუალო, სახელმწიფო თუ კერძო.

III. დამატებითი მოთხოვნები:

- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის პროგრამის ათვისება
- მეხუთე საფეხურზე დაიშვებიან მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირებიც.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა არის ორსაფეხურიანი (IV და V). თითოეული საფეხურისთვის შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული

კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 120 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% პრაქტიკას. ენიჭება სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის კვალიფიკაციის აღმწერი

სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცის:</p> <p>ბიზნეს მათემატიკის საწყისი კურსი; კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლები: შესავალი კურსი; საოფისე პროგრამები; ინტერნეტის გამოყენება; ელექტრონული ფოსტის გამოყენება; ბიზნესის საფუძვლები: ბიზნეს გარემო, ბიზნესის რესურსები და ფაქტორები; სოფლის მეურნეობის ბიზნესის დაგეგმვის პრინციპები და სამეწარმეო გარემოს თავისებურებანი; ბიზნესის შეფასება; საქონელწარმოების გენეზისი; დაფინანსების ტიპები, ბიუჯეტი, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები; საქმიანი ურთიერთობების კულტურის ზოგადი საკითხები სოფლის მეურნეობის ბიზნესში; სოფლის მეურნეობის საწარმოს ორგანიზაციული კულტურა; ორგანიზაციის დაგეგმარება, სტრუქტურა და კომუნიკაცია; კარიერის მენეჯმენტი, საშტატო გადაადგილებები; ჯგუფთაშორის ურთიერთობები და კონფლიქტების მოგვარება; ორგანიზაციის განვითარების პროცესები; ბიზნეს-კომუნიკაციების საფუძვლები სოფლის მეურნეობის ბიზნესში; კომუნიკაციური უნარ-ჩვევები; საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება; კრიტიკული აზროვნება და მოსმენა; დამარწმუნებელი წერილების შედგენა; კომუნიკაბელობა და კონფლიქტების მართვა; ბიზნესის მონაწილეთა კარიერის დაგეგმვისა და განვითარების საკითხები: გადაწყვეტილებების მიღება კარიერის დაგეგმვის და მისი განვითარების დროს; იმ სამუშაოს დადგენა, რომელიც დაკავშირებული იქნება პერსონალური და პროფესიული უნარ-ჩვევები მაქსიმალურ რეალიზაციასთან; ინგლისურის საწყისი კურსის პროგრამები.</p> <p>აცნობიერებს:</p> <p>მიღებული თეორიული საბაზო ცოდნისა და მისი ეფექტური გამოყენების მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის ბიზნესის ადმინისტრირების პროცესის</p>
-------------------------------------	--	--

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შესწავლისა და წარმართვისათვის.</p> <p>აქვს უნარი:</p> <p>შეასრულოს ელემენტარული მათემატიკური გაანგარიშებები. განსაზღვროს და ააგოს სოფლის მეურნეობის ბიზნესისათვის დამახასიათებელი ფუნქციონალური დამოკიდებულებები; გაანალიზოს და გამოიყენოს შედეგები დანიშნულებისამებრ. გამოიყენოს ბიზნესის საფუძვლებისა და წარმოების პრინციპების ცოდნა სოფლის მეურნეობის ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის საჭირო სამუშაოების დასაგეგმად;</p> <p>დაგეგმოს და განავითაროს საქმიანი ურთიერთობები სოფლის მეურნეობაში არსებული საწარმოო პროცესების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე; ხელი შეუწყოს ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებასა და განვითარებას; განავითაროს კვალიფიციური ბიზნეს კომუნიკაციები პარტნიორებთან და კოლეგებთან;</p> <p>დაგეგმოს საწარმოო პროცესში მონაწილე ადამიანური რესურსებისა და პერსონალური კარიერა და იზრუნოს განვითარებაზე;</p> <p>შექმნას ჩატარებული და სამომავლო სამუშაოების მონაცემთა ბაზა: გამოიყენოს რელევანტური ბაზების მონაცემები და იზრუნოს ინოვაციური მეთოდების ადაპტაციასა და დანერგვაზე.;</p> <p>უსაფრთხო გარემოს შექმნისა და მისი მდგრადი განვითარების ხელშეწყობისა და დაცვის.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>აქვს უნარი:</p> <p>ზოგადა ბიზნესთან და კერძოდ სოფლის მეურნეობის ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და ზოგადი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროფესიული ანალიზისა და დასკვნების;</p> <p>პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიური აზროვნების;</p> <p>სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პერსონალური მიზნების განსაზღვრისა და დასახვის;</p> <p>სოფლის მეურნეობის სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის არსებული ზოგადი საჭიროებების, მათი განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების განსაზღვრის;</p> <p>სოფლის მეურნეობის სფეროში სამეწარმეო პროექტის შემუშავების პირობების განსაზღვრის დაგეგმვისა და რეალიზაციის იდენტური სიტუაციების პირობით მოდელირებისას.</p>
<p>კომუნიკაციის</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ</p>	<p>აქვს უნარი:</p> <p>ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით კომუნიკაციის თავისი</p>

უნარი	საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	პროფესიული საქმიანობის შესახებ, როგორც მშობლიურ ასევე ინგლისურ ენაზე; საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის სრულფასოვანი გამოყენების; ჯგუფური მუშაობის პრინციპების გამოყენებით ეფექტურად მუშაობის; პროფესიული ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და გავრცელების.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	აქვს უნარი: ახალი ინფორმაციის მოპოვების; მასალებისა და ტექნოლოგიების შესწავლის, გათავისებების, გაზიარებისა და კრიტიკული ანალიზის; პროფესიული ბიზნეს ინფორმაციის იდენტიფიცირების, მოდიფიცირების. გამოყენების შემთხვევაში სოფლის მეურნეობის ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის კუთხით არგუმენტირებული დასაბუთების.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	გააჩნია: პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი; სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვის და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობის აღების უნარი საერთო საქმეზე. P პატივისცემის გრძნობა კოლეგებისა და პარტნიორების მოსაზრებებისადმი; დადებითი დამოკიდებულება უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მქონე გარემოს შესაქმნელად არსებულ ნორმებისადმი და ინიციატივებს იჩენს მათი დაცვის მიმართულებით; აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა პროფესიული საქმიანობისადმი.

სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	იცის: ბიზნეს მათემატიკის ზოგადი და სპეციალური საკითხები. სოფლის მეურნეობის ბიზნესის წარმართვისათვის აუცილებელი რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები; სოფლის მეურნეობის საწარმოს საქმიანობა და წარმოების თავისებურებანი. ძირითადი თეორიები, კონცეფციები და პრინციპები; სოფლის მეურნეობის ბიზნესის ორგანიზებისა და მართვის პრინციპები; მეწარმეობის საფუძვლებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის ორგანიზებისა და მართვის პრინციპები; სოფლის მეურნეობის ბიზნესის წარმოების ტექნოლოგიები; წარმოების ძირითადი და დამხმარე ნედლეული, მათი ხასიათის თავისებურებანი და ღირებულება; წარმოების პროდუქცია, ღირებულება და მისი გასაღების ბაზარი და პროცესი; წარმოების პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფა. მისი მონიტორინგი; მომხმარებლის მომსახურების პრინციპები და სპეციფიური
------------------------------	--	---

		<p>მიდგომები; წარმოების პროცესში გარემოსა და შრომის დაცვის ნორმები; სოფლის მეურნეობის ეკონომიკა; სოფლის მეურნეობის რესურსების, საქონლისა და სამომხმარებლო ბაზრები; მომხმარებლების მომსახურების ძირითადი პრინციპები. ბიზნეს გარემოზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენების იდენტიფიცირების მეთოდები; სოფლის მეურნეობის ბიზნესის ჩამოყალიბებისა და მართვის პრინციპები; სოფლის მეურნეობის ბიზნესის დაგეგმვა; ბიზნესის დაგეგმვის პრინციპები, ძირითადი თეორიები, კონცეფციები. სოფლის მეურნეობის ბიზნესის დაგეგმვის პროცესის თავისებურებანი; სოფლის მეურნეობის საწარმოს მენეჯმენტი: ზოგადი მენეჯმენტი; სოფლის მეურნეობის ბიზნესის ორგანიზების პრინციპები, რესურსების მდგარადი განვითარებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები. წარმოების პროცესის ორგანიზაცია და მართვა: ადამიანური რესურსების მართვა (ადამიანური რესურსების მდგარადი განვითარებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები). საქმიანი მოლაპარაკებების წარმოება; სოფლის მეურნეობის საწარმოების ფინანსური მენეჯმენტი; რესურსების მდგარადი განვითარებისათვის სტრატეგიული ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები; საბუღალტრო აღრიცხვა (ბიზნეს ერთეულის საქმიანობაში აღრიცხვის ფუნქციისა და მნიშვნელობის ცოდნა და განხორციელება); აუდიტის პრინციპები (ბიზნეს ერთეულის საქმიანობაში აუდიტის როლისა და ფუნქციის ცოდნა და პროცესის განხორციელება); საქართველოს სოფლის მეურნეობის სამართლებრივი გარემო; სამეწარმეო სამართალი; ეკონომიკისა და ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება; ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა; საწარმოს ქონების სამართლებრივი საფეხური; თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალური პროგრამები:</p> <p>აქვს ბიზნეს ინგლისურის "პრეინტერმადიეტ" საფეხურისა და სპეციალობის ინგლისურის ცოდნა; აცნობიერებს:</p> <p>სოფლის მეურნეობის საწარმოების არსებობის, მათში მიმდინარე პროცესებისა და შექმნილი პროდუქციის მნიშვნელობასა და როლს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში; თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების როლს ბიზნეს საქმიანობის წარმატებული განვითარებისათვის; სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელის ფუნქციის მნიშვნელობას საქმიანობის პროცესში.</p>

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>აქვს უნარი: სოფლის მეურნეობის წარმოებაში მიმდინარე პროცესების კვლევისა და შედეგების გააზრების, მოდიფიცირების, ადაპტაციის; საჭიროების კრიტიკული ანალიზის, ხასიათისა და ტიპების დადგენის; ნედლეულისა და პროდუქციის ხარისხის განსაზღვრის; წარმოებული პროდუქციის მოხმარების პირობების დადგენის; წარმოების ტექნიკური მაჩვენებლების განსაზღვრის; ინოვაციური პროცესების გათვალისწინების; სამომხმარებლო ბაზრის განსაზღვრის; მომხმარებლის საჭიროებების შესწავლი. სოფლის მეურნეობის საწარმოების ტექნოლოგიური ოპერაციების მართვის: კონკრეტულ ოპერაციებთან დაკავშირებული პრაქტიკული საქმიანობის დაგეგმვა და აღსრულება შესაბამისი პროცედურებისა და პრინციპების გამოყენების საფუძველზე; ფინანსური და სხვა საადრიცხო ოპერაციების განხორციელების: ფინანსურ მონაცემთა ბაზის შექმნა, დამუშავება; გასავალისა და ხარჯების ანალიზი; რელევანტური ფინანსური ბაზების გამოყენება; წარმოების ექსპლუატაციის ფინანსური და ტექნიკური საშუალებების შეფასება.. პროფესიული ინფორმაციის იდენტიფიცირების: ანალიზი და გადაწყვეტილების არგუმენტირება; უსაფრთხო გარემოს შექმნისა და დაცვის: საფრთხეების დადგენა; სიტუაციური ანალიზი; უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის; პირობების განსაზღვრა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>აქვს უნარი: სოფლის მეურნეობის ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროფესიული ანალიზისა და დასკვნების; პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიური დასკვნების გაკეთების; სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პერსონალური მიზნების განსაზღვრისა და დასახვის; პროფესიული დასკვნების საფუძველზე მატერიალური საჭიროებებისა და მათი განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების განსაზღვრის; სოფლის მეურნეობის სფეროში სამეწარმეო პროექტის შემუშავების</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და</p>	<p>აქვს უნარი: ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით კომუნიკაციის თავისი პროფესიული საქმიანობის შესახებ, როგორც მშობლიურ ასევე ინგლისურ ენაზე; საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების; ჯგუფში ეფექტურად მუშაობის; პროფესიული ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და გავრცელების.</p>

	საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	აქვს უნარი; სოფლის მეურნეობის ახალი ტექნოლოგიების შესწავლის, გათავისების, გაზიარებისა და კრიტიკული ანალიზის; პროფესიული ბიზნეს ინფორმაციის იდენტიფიცირების, მოდიფიცირების, არგუმენტირებული დასაბუთების; ცვლილებებთან დაკავშირებული საჭიროების ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების;
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	გააჩნია: პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი; სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვის და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობის აღების უნარი საერთო საქმეზე; პატივისცემის გრძნობა კოლეგებისა და პარტნიორების მოსაზრებებისადმი; დადებითი დამოკიდებულება უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მქონე გარემოს შესაქმნელად არსებულ ნორმებისადმი და ინიციატივებს იჩენს მათი დაცვის მიმართულებით; პასუხისმგებლობის გრძნობა პროფესიული საქმიანობისადმი; სოფლის მეურნეობის ბიზნესის განვითარების ღირებულებების განსაზღვრისა და შეფასების უნარი.